

## მოწვევა

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შექმნის/მოწყობის და აკრედიტაციის მიღების მიზნით შერჩევის პროცესში წინადადებათა წარმოდგენის შესახებ

## შესავალი

საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებული და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული გარკვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სავალდებულო პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას ექვემდებარებიან ეტაპობრივად, 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობა, მათი კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების (შემდგომში „ინსპექტირების ცენტრი“) ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, მენეჯმენტის სისტემა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პერსონალის კვალიფიკაცია უნდა პასუხობდეს მათ წინაშე საქართველოს კანონმდებლობით წაყენებულ მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებთან ინსპექტირების ცენტრების შესაბამისობას ამოწმებს სსიპ - „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“ (შემდგომში - „აკრედიტაციის ცენტრი“) აკრედიტაციისა და მონიტორინგის ჩატარებისას. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაცია ტარდება საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის“ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 მარტის №1-1/330 ბრძანების (შემდგომში - „ბრძანება“) შესაბამისად.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური პარამეტრები და ამ პარამეტრების ტესტირების მეთოდები (ინსტრუმენტული და ორგანოლეპტიკური) საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ №510 დადგენილებით.

საქართველოში არსებული მთლიანი საავტომობილო პარკის ინსპექტირების დაწყებისათვის, აუცილებელია, ერთის მხრივ, არსებული ინსპექტირების ცენტრების მობილიზება, ხოლო მეორეს მხრივ, ხელსაყრელი პირობების შექმნა ახალი ცენტრების შექმნის/მოწყობისა და აკრედიტაციის მიღებისათვის, იმ რეგიონებში, რომლებშიც არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სერვისის მიწოდების შეფერხების რისკები.

ამდენად, წინადადებების წარმოდგენის შესახებ მოწვევით (შემდგომში „შერჩევის პროცესი“/„მოწვევა“), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (შემდგომში - „სამინისტრო“) იწვევს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს ან კომპანიების ჯგუფებს - კონსორციუმებს (შემდგომში - „დაინტერესებული პირები“) გამოხატონ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის შექმნის/მოწყობისა და აკრედიტაციის მიღების სურვილი ამ მოწვევისა და დანართი N2-ის შესაბამისად.

## 1. ადგილმდებარეობა, მთავარი მაჩვენებლები და მონაცემები

1. თითოეული ინსპექტირების ცენტრი უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით დამტკიცებულ მოთხოვნებს.

2. საქართველოს შესაბამისი რეგიონების მიხედვით ასამოქმედებელი ინსპექტირების ცენტრების ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები და გეოგრაფიული განაწილება (შემდგომში - „ლოტები“) მოცემულია დანართ N-2-ში.

## 2. მომსახურების ტარიფები

ინსპექტირების ცენტრების მიერ სატრანსპორტო საშუალებებისთვის გასაწევი მომსახურების საფასურები დადგენილია „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით.

## 3. სამინისტროს განზრახულობანი

1. სამინისტრო შერჩევის პროცესში გამარჯვებულ პირს/პირებს მიანიჭებს ინსპექტირების ცენტრების საქმიანობის უფლებას დანართ №2-ში მოცემული ლოტების შესაბამისად შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადით, ამ მოწვევითა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის 10 წლიანი ვადა არ გამოირიცხავს ამავე პუნქტით გათვალისწინებული შერჩევის პროცესში გამარჯვებული პირი/პირების მიერ იმ ლოტზე/ლოტებზე ინსპექტირების ცენტრების შესაბამისი

ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადის გასვლის შემდგომ ოპერირების უფლებას, რომლებზეც აღნიშნული პირი/პირები ამ მოწვევით გამოცხადდნენ გამარჯვებულებად. ასეთ შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია ჩაატაროს შერჩევის პროცესი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის მიუხედავად.

3. ამ მუხლის პირველი ან/და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები წყდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პირების ინსპექტირების ცენტრების აკრედიტაციის ნებისმიერი მიზეზით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში.

4. სამინისტროს მიერ დანართი N 2-ით გათვალისწინებულ ლოტებზე ხელახალი შერჩევის პროცესი/მოწვევა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გამოცხადდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებულ პირებს ან/და სხვა აკრედიტირებულ ინსპექტირების ცენტრებს რაიმე მიზეზით შეუწყდებათ ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია;

ბ) არსებობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკურ ინსპექტირების მზარდი მოთხოვნა ან/და მცირდება ინსპექტირების ცენტრების რაოდენობა.

5. მოწვევაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ბრძანების დანართი N1-ით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

#### **4. შერჩევის პროცესის მთავარი მოთხოვნები**

1. შერჩევის პროცესში გამარჯვებულმა პირ(ებ)მა აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნა/მოწყობა და აკრედიტაციის მიღება უნდა უზრუნველყონ, არაუგვიანეს 2018 წლის 1 ნოემბრისა.

2. შერჩევის პროცესში გამარჯვებული პირი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელება საკუთარი კაპიტალით ან/და მოზიდული სახსრებით.

#### **5. დაინტერესებული პირების მიერ შერჩევის პროცესში მონაწილეობის პირობები**

1. დაინტერესებული პირები აკრედიტაციის მისაღებად, ამ მოწვევით განსაზღვრულ ვადაში, სამინისტროს წარუდგენენ განაცხადს, რომელსაც უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოწვევის მოთხოვნათა შესაბამისად გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია, დაინტერესებული პირის მიერ არჩეული ლოტიდან თითოეული ხაზისთვის 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) წინადადება, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის გადახდის თაობაზე თითოეულ ლოტზე სულ მცირე 750 000 (შვიდასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

გ) იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნის/მოწყობასთვის განსახორციელებელი ღონისძიებების იმპლემენტაციის გეგმა. აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს:

- ინსპექტირების ცენტრისთვის საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაციის სამინისტროსთვის წარმოდგენის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეს;
- ინსპექტირების ცენტრის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის წარმოდგენის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარულ დღეს;
- აკრედიტაციის მისაღებად აკრედიტაციის ცენტრში განაცხადის შეტანის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2018 წლის 1 აგვისტოს.

ე) დაინტერესებული პირის გამოცდილების აღწერა, რომელიც დაადასტურებს დაინტერესებული პირის ან დაინტერესებული პირის ქვეკონტრაქტორების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების სულ მცირე ხუთწლიან საერთაშორისო გამოცდილებას. იმ შემთხვევაში, თუკი დაინტერესებული პირის გამოცდილება ეყრდნობა ქვეკონტრაქტორების გამოცდილებას, დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღების მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები თითოეული ქვეკონტრაქტორისგან. გამოცდილების აღწერის განაცხადს თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტები და ცნობები;

ვ) თუ დაინტერესებული პირი კონსორციუმია, კონსორციუმის წევრთა სია და გამოცდილების აღწერა თითოეულ წევრზე.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხად(ებ)ის წარმოდგენა დანართ N2-ში მოცემულ ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ამასთან, თითოეულ ლოტზე განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ცალკე.

3. დაინტერესებული პირების მიერ შესაბამის განაცხადთა სამინისტროში წარდგენის ვადაა 2018 წლის 13 აპრილიდან, არაუგვიანეს 2018 წლის 14 მაისი (18.00 სთ. თბილისის დროით).

4. განაცხადი სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი, ხელმოწერილი ორიგინალის სახით, რომელიც უნდა იყოს მოთავსებული დალუქულ კონვერტში. დაინტერესებულმა პირმა კონვერტზე უნდა დააწეროს დანართ N2-ში მოცემული შესაბამისი ლოტის ნომერი, რომლის მიმართაც შემოტანილია განაცხადი.

5. შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება იწყება და მთავრდება ამ მუხლით დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება სამინისტროში რეგისტრაციის თარიღით.

6. დაინტერესებულ პირს შეიძლება უარი ეთქვას შერჩევის პროცესში მონაწილეობაზე, თუ არ აკმაყოფილებს ან დარღვეულია ამ მოწვევით დადგენილი მოთხოვნები.

## **6. უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია და ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური**

1. ამ მოწვევით გათვალისწინებული უპირობო და გამოუხმობი საბანკო/სადაზღვევო გარანტია (შემდგომში – გარანტია) გაცემული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში ლიცენზირებული ბანკის ან მზღვეველის მიერ.

2. გარანტიის ოდენობა უზრუნველყოფს:
  - ა) შერჩევის პროცესში გამარჯვებული პირის მიერ სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებას და შესაბამისი აკრედიტაციის მიღებას, მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი პირობების შესაბამისად; და
  - ბ) ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის გადახდას ამ მოწვევით განსაზღვრულ ვადაში.
3. გარანტია ძალაშია ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის სრულად გადახდისა და აკრედიტაციის მიღებისთვის განსაზღვრული ვადიდან სულ მცირე ერთი თვის გასვლამდე.
4. გარანტიის მოქმედება წყდება შერჩევის პროცესში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ინსპექტირების ცენტრების მშენებლობის, აკრედიტაციის მიღებისა და ასევე ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის სრულად გადახდის შემდეგ; გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებზე სამინისტრო უარს აცხადებს ამავე პირების მიერ შესაბამისი ვალდებულებების სრულად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
5. ხელშეკრულების ხელმოწერის საფასური დაინტერესებული პირის მიერ გადახდილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე. გადახდილი საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტია ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

## 7. შერჩევის პროცესის ჩატარების წესი და გამარჯვებულის გამოვლენა

1. სამინისტროში დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილ განაცხადებს განიხილავს სამინისტროს მიერ შექმნილი უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში – „კომისია“).
2. შერჩევის პროცესში გამარჯვებულად ცხადდება დაინტერესებული პირ(ებ)ი, რომლის მიერ შემოტანილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოწვევით განსაზღვრულ პირობებს და კრიტერიუმებს და სამინისტროს შესთავაზებს სხვა მონაწილეებთან შედარებით ხელშეკრულების ხელმოწერის მაღალ საფასურს.
3. განაცხადთა წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადის დასრულების შემდგომ, კომისიის მიერ იხსნება შემოსული წინადადებები, დგინდება ყველა საჭირო დოკუმენტის არსებობა და დადგენილ პირობებთან შესაბამისობა. თუ მონაწილის წინადადებები არ პასუხობს მოწვევით განსაზღვრულ პირობებს, იგი არ დაიშვება შერჩევის პროცესში და აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება შესაბამისი კომისიის ოქმში.
4. ფინანსური წინადადება (ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის შესახებ) შესაძლებელია გაიხსნას საჯაროდ, დაინტერესებულ პირთა წარმომადგენელთა თანდასწრებით, მათი სურვილის შესაბამისად.
5. კომისია იხილავს მონაწილეთა წინადადებებს, მათი დასწრების გარეშე, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას.

6. სამინისტრო გადაწყვეტილებას საუკეთესო წინადადებ(ებ)ის გამოვლენის შესახებ აცხადებს, როგორც წესი, კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
7. შერჩევის პროცესი ითვლება არშემდგარად, თუ:
  - ა) მოწვევით დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არცერთი განაცხადი;
  - ბ) წარმოდგენილი განაცხადებიდან არცერთი არ შეესაბამება შერჩევის პროცესის მოთხოვნებს.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას შერჩევის პროცესის არშემდგარად გამოცხადების შესახებ.
9. თუ რამდენიმე დაინტერესებული პირის მიერ შემოთავაზებული წინადადება საფასურის და სხვა პირობების შესახებ აკმაყოფილებს შერჩევის პროცესის პირობებს, კომისია უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით დაადგინოს რამდენიმე საუკეთესო წინადადება.
10. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე ლოტზე ორი ან მეტი განაცხადით, შემოთავაზებული იქნა თანაბარი ყველაზე მაღალი საფასური, კომისია, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს განუსაზღვროს დამატებითი ვადა, ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული წინადადებების წარმოდგენის მიზნით.
11. დადგენილ ვადაში წარმოდგენილი გაუმჯობესებულ წინადადებებიდან კომისია გამარჯვებულ(ებ)ს ავლენს ამ მოწვევით დადგენილი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით.
12. ხელშეკრულების ხელმოწერის საფასურის კრიტერიუმის შესაბამისად კომისია გამოავლენს გამარჯვებულს, რომელთანაც გაფორმდება აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნის/მოწყობის თაობაზე ხელშეკრულება.
14. სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა მონაწილეს. შერჩევის პროცესის გამარჯვებულ(ებ)ს კი ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.
15. შესარჩევ პროცესში გამარჯვებული პირ(ებ)ის გარდა სხვა პირებს სამინისტრო უბრუნებს (უარს ამბობს) მათ მიერ წარმოდგენილ გარანტიებს.

## **8. გარიგებათა გაფორმების წესი**

1. სამინისტრო, ამ დებულებით დადგენილი წესით, გამარჯვებულ პირ(ებ)თან აფორმებს ინსპექტირების ცენტრის შექმნის/მოწყობის თაობაზე ხელშეკრულებას.
2. გამარჯვებულ პირთან დასადებ ხელშეკრულების პროექტს სამინისტრო წარუდგენს გამარჯვებულ პირს თითოეულ ლოტზე მასზე გამოცხადებული შესაბამისი ხაზების მითითებით, რომელიც ამავე ხელშეკრულებით აიღებს ვალდებულებას უზრუნველყოს აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნა/მოწყობა, მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით დამტკიცებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

3. შესარჩევი პროცესის შედეგების დამტკიცების შესახებ სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში “გამარჯვებული” მონაწილე ვალდებულია სამინისტროსთან გააფორმოს ხელშეკრულება.

4. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულ პირთან არ მოხდა ხელშეკრულების დადება, სამინისტრო უფლებამოსილია ხელშეკრულება დადოს შესარჩევ პროცესში სხვა მონაწილეებს შორის მომდევნო საუკეთესო განაცხადის წარმომდგენ პირთან.

5. სამინისტროს და შესარჩევ პროცესში გამარჯვებულთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანება მათ შორის შემდეგი მონაცემები:

ა) ცნობები მხარეების შესახებ;

ბ) შესარჩევი პროცესის პირობებიდან გამომდინარე გამარჯვებული პირის ვალდებულებები აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნასთან/მოწყობასთან დაკავშირებით, მათ შორის აკრედიტაციის მიღების მიზნით ინსპექტირების ცენტრის შექმნის/მოწყობასთვის განსახორციელებელი ღონისძიებების იმპლემენტაციის გეგმა და გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე აღნიშნული გეგმის შესრულების ანგარიშის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად სამინისტროსა და აკრედიტაციის ცენტრისთვის წარდგენის ვალდებულებები;

გ) გამარჯვებული პირის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირგასამტეხლოს დაკისრების წესი და სხვა სამართლებრივი შედეგები;

დ) სხვა მონაცემები გასაფორმებელი ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

6. გამარჯვებული პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესაძლებელია აგრეთვე შესრულდეს მესამე პირის მეშვეობით. მესამე პირის მეშვეობით შესრულებულ ვალდებულებებზე სამინისტროს წინაშე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება გამარჯვებულ პირს.

## 9. გამარჯვებული პირის პასუხისმგებლობა

1. ამ მოწვევისა და შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში პირი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობით.

2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად სამინისტროს მიერ.

## 10. სამინისტროს განცხადებები

1. სამინისტრო იტოვებს უფლებას:

ა) უარი თქვას აღნიშნული მოწვევით დადგენილ შერჩევის პროცესზე ან ნებისმიერ დროს ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს ამ მოწვევაში, მათ შორის შესარჩევი პროცესის პირობებში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოწვევაში ცვლილების შეტანის გზით და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებით;

ბ) პირთა მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით საკითხის დაზუსტების მიზნით, მოითხოვოს შესაბამისი განმარტება/დაზუსტება ან დამატებითი დოკუმენტაცია;

გ) დისკვალიფიკაცია მისცეს ნებისმიერ იმ კანდიდატს, რომლის განაცხადი ან დოკუმენტაცია არ შეესაბამება მოწვევით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით;

დ) არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ამ პროცესის შედეგად, ან განაგრძოს კანდიდატების შერჩევა, ან გაუგზავნოს კანდიდატებს მოთხოვნი წინადადებების წარდგენის თაობაზე.

2. სამინისტრო არ არის ვალდებული აუნაზღაუროს:

ა) ამ მოწვევით განსაზღვრულ პროცესში მონაწილე ან სხვა პირს ამ მოწვევით განსაზღვრულ პროცესთან დაკავშირებით ამ მოწვევის ამოქმედებამდე ან მას შემდეგ გაწეული რაიმე სახის ხარჯი.

ბ) შერჩევის პროცესში გამარჯვებულ პირს ან სხვა პირს შერჩევის პროცესში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ან გაფორმების შემდგომ გაწეული რაიმე სახის ხარჯი.“

## 11. სადავო საკითხები

წინადადებათა წარმოდგენის შესახებ მოწვევიდან გამომდინარე სადავო საკითხებს განიხილავენ საქართველოს საერთო სასამართლოები.



დანართი N 2

საქართველოს შესაბამისი რეგიონების მიხედვით ასამოქმედებელი ინსპექტირების ცენტრების ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები და გეოგრაფიული განაწილება

ლოტი N1

ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები და გეოგრაფიული განაწილება

რეგიონი	ტესტირების ხაზის ტიპი				კომენტარი/ რეკომენდაც ია
	მსუბუქი ავტომობილის LV	სატვირთო ავტომობილი ს HV	უნივერსალური UN	მოძრავი	
თბილისი	7	0	3	0	
ქობულეთი	1	0	0	0	
ლანჩხუთი	1	0	0	0	
ქარელი	1	0	1	0	სასურველია აშენდეს ავტობანის მიმდებარედ
საჩხერე	1	0	0	0	საჩხერე/ჭიათურა
წალკა	1	0	0	0	
აჭარა	0	0	0	1	ქედა, შუახევი, ხულო

ლოტი N2

ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები და გეოგრაფიული განაწილება

	ტესტირების ხაზის ტიპი	კომენტარი/ რეკომენდაც
--	-----------------------	--------------------------

					ია
რეგიონი	მსუბუქი ავტომობილის LV	სატვირთო ავტომობილი ს HV	უნივერსალური UN	მოდრავი	
თბილისი	8	0	2	0	
ოზურგეთი	1	0	0	0	საჭიროებისამებრ მოემსახურება ჩოხატაურს
ხობი	1	0	0	0	საჭიროებისამებრ მოემსახურება ზუგდიდის რაიონსაც
ახალქალაქი	1	0	1	0	საჭიროებისამებრ მოემსახურება ნინოწმინდასაც
დუშეთი	0	0	1	0	სასურველია აშენდეს სამხედრო გზის მიმდებარედ
ამბროლაური	1	0	0	0	მოემსახურება ამბროლაური-ონს
სამცხე-ჯავახეთი/მცხეთა მთიანეთი	0	0	0	1	მოემსახურება ადიგენს, ასპინძას, ყაზბეგს და თიანეთს

### ლოტი N3

ტესტირების ხაზების რაოდენობა, სახეობები და გეოგრაფიული განაწილება

	ტესტირების ხაზის ტიპი				კომენტარი/ რეკომენდაც ია
რეგიონი	მსუბუქი ავტომობილის LV	სატვირთო ავტომობილი ს HV	უნივერსალური UN	მოდრავი	
თბილისი	7	0	3	0	
ფოთი	0	0	1	0	სასურველია აშენდეს გრიგოლეთის მიმართულებით, საჭიროებისამებრ

					მოემსახურება ქობულეთ- ლანჩხუთს.
სამტრედია	0	0	1	0	საჭიროებისამებრ მოემსახურება ვანის რაიონს.
ბორჯომი	1	0	0	0	
კასპი	1	0	0	0	
დედოფლის წყარო	1	0	0	0	
ყვარელი	1	0	0	0	საჭიროებისამებრ მოემსახურება გურჯაანს
სამეგრელო- ზემო სვანეთი, ლეჩხუმი, გურია	0	0	0	1	მოემსახურება მესტიას, ცაგერს, მარტვილს, ლენტეხს